

# ახალი სარსაგაული

№310 (02), 27 იანვარი, 2016 წ.



## სარსაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონალური თათბირი ჩატარდა

რი გააკეთა „სოკარ ჯორჯია გაზის“ იმერეთის რეგიონული ოფისის დირექტორმა **დავით ჯანაშია**: „დღევანდელ თათბირზე ვისაუბრეთ იმერეთის სოფლების გაზიფიცირებასთან დაკავშირებულ სამომავლო პერსპექტივებზე. გუბერნატორს და მუნიციპალიტეტების გამგებლებს მივანდინე ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ იმერეთში და, მათ შორის, სარსაგაულშიც გაზიფიცირების მიმდინარე პროცესი ენერჯეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებული გეგმის შესაბამისად განხორციელდება.“



21 იანვარს სარსაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონალური თათბირი ჩატარდა. თათბირზე იმერეთის გუბერნატორმა **გივი ჭიჭინაძემ** და პირველმა მოადგილემ **პაატა ნადირაძემ** იმერეთის მხარის გამგებლებთან და წარმომადგენლებთან ერთად, 2016 წელს იმერეთში განსახორციელებელი პროექტების შესახებ იმსჯელეს. იმერეთის მხარის გამგებლებმა და წარმომადგენლებმა გუბერნატორს მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობა გააცნეს და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ

იმსჯელეს. შეხვედრას სარსაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი **ნოდარ ებანოძე** და სარსაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **კობა ლურსმანაშვილი** ესწრებოდნენ. თათბირზე ასევე მონაწილე იყვნენ „ენერჯო-პრო ჯორჯიას“, „სოკარ ჯორჯია გაზის“, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის, მელიორაციის რეგიონული სამმართველო და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული სამსახურების უფროსები.

2016 წელს სარსაგაულის მუნიციპალიტეტის გამრიცხველიანების დასრულებასთან დაკავშირებით ისაუბრა „ენერჯო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის დირექტორმა, **დავით მურადაშვილმა**: „თათბირზე ჩვენი საუბარი, ძირითადად გასულ წელს ჩატარებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებს შეეხებოდა, რაზეც დეტალურად ვისაუბრეთ. ასევე ვისაუბრეთ მომავალი სამუშაოების შესახებ. მომავალ წელს იმერეთის რეგიონში, სარსაგაულიდან სამტრედიის ჩათვლით, 5 000 აბონენტის გამრიცხველიანება იგეგმება. ასევე იგეგმება მაღალი ძაბვის ქსელების რეაბილიტაცია, რადგან გასულ წლის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იქ, სადაც ასეთი ქსელების რეაბილიტაცია მოხდა, ავარიები 60 %-ით შემცირდა.“

წლების განმავლობაში არ მომხდარა ათობით ათასი კილომეტრი ხაზის რეაბილიტაცია. უახლოეს მომავალში ყველა რეგიონში, მათ შორის, სარსაგაულში ასეთი ხაზების რეაბილიტაცია ნაწილობრივ მანაც მოხდება.“

## სალანძილესა და დიდვაკეში ახალი საბავშვო ბაღების აშენება იგეგმება

სალანძილესა და დიდვაკეში ახალი საბავშვო ბაღების აშენება იგეგმება. საბავშვო ბაღების მშენებლობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულების ასანაზღაურებლად სარსაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 3,5 ათასი ლარი გამოიყო. საკითხის შესახებ დეპუტატებმა 20 იანვარს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე იმსჯელეს. როგორც ჩვენთან საუბარში მუნიციპალიტეტის გამგებელმა **კობა ლურსმანაშვილმა** განაცხადა, პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდში გაგზავნილია.



„მუნიციპალური განვითარების ფონდში მიმდინარეობს პროექტის განხილვა. გვაქვს იმედები, რომ პროექტი დაფინანსდება და დიდვაკესა და სალანძილეს ახალი საბავშვო ბაღები აშენდება. მუნიციპალიტეტის გამგეობა ამ საკითხზე პასუხის მოლოდინშია“ - დასძინა **კობა ლურსმანაშვილმა**.

## ცენტრალური ბიბლიოთეკის ინვენტარის შესაძენად 30 000 ლარი გამოიყო

სარსაგაულის ახლად აშენებულ ცენტრალურ ბიბლიოთეკას ინვენტარის შესაძენად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 30 000 ლარი გამოიყო. ამის შესახებ დეპუტატებმა 20 იანვარს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს. შეგახსენებთ, რომ სულ მალე ცენტრალური ბიბლიოთეკა ახლად გარემონტებულ შენობაში განთავსდება. სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულებულია. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 92 223 ლარით დაფინანსდა. ახალ, თანამედროვე სტანდარტებს მისადაგებულ ბიბლიოთეკის შენობაში სამკითხველო დარბაზიც გაკეთდა, ასევე გათვალისწინებულია მომსახურება განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისათვის. ბიბლიოთეკის ბაზაზე, საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრიც ფუნქციონირებს, რომელიც პირველად სარსაგაულის მუნიციპალიტეტში გაიხსნა. ინოვაციების ცენტრი მოსახლეობას მრავალპროფილიან მომსახურებას სთავაზობს.



ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გაზაფხულზე, სავარაუდოდ მაისის დასაწყისში გადავა.

ახალი ბიბლიოთეკის შენობა სარსაგაულში

გვერდი მოამზადა ეპა შავიძემ

## 2016 წელს სარსაგაულში მნიშვნელოვანი ინტრასტრუქტურული პროექტები განხორციელდება

25 იანვარს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის სხდომა გაიმართა, რომელსაც მინისტრის მოადგილე და კომისიის თავმჯდომარე, **თენგიზ შერგელაშვილი** უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ იმერეთის მხარის რწმუნებულ-გუბერნატორი **გივი ჭიჭინაძე**, სარსაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი **ნოდარ ებანოძე** და სარსაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **კობა ლურსმანაშვილი**. სხდომაზე იმსჯელეს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისთვის ფონდიდან თანხების გამოყოფაზე. განხილულ იქნა მუნიციპალიტეტებისთვის თანადაფინანსების წესიც. გამოყოფილი თანხები ძირითადად გზების, წყალმომარაგებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე გადანაწილდა. ამ ეტაპზე კომისიამ სარსაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი რვა პროექტი მოიწონა. პროექტების სავარაუდო ღირებულება საერთო ჯამში დაახლოებით 2 598 091 ლარია.

ეტაპად განიხილებოდა. „პირველ ეტაპზე სარსაგაულისთვის 1 500 000 ლარი გამოიყო, ხოლო მეორე ეტაპზე 1 000 000 ლარი. ზემოთ ჩამოთვლილ პროექტებში არ არის ზვარის ახალგაზრდული ბანაკი. პროექტით სახელმწიფო დაინტერესდა და მისი სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება ამ ეტაპზე, სამომავლო განხილვას ელოდება. აღსანიშნავია, რომ პროექტების წარდგენაზე ერთობლივად ვმუშაობდით, როგორც გამგეობის გუნდი, ასევე მაჟორიტარი დეპუტატი **ნოდარ ებანოძე** და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია. ჩემსა და მაჟორიტარ დეპუტატს შორის იყო განსხვავებული პოზიციები გარკვეული პროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით, მაგრამ მოსახლეობისა და ადგილზე არსებული ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენ ერთმანეთში შევეჯვრდით. მთავარია, რომ ჩვენი პოზიციები პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით თანხვედრილია. ვფიქრობ, კარგად ვიმუშავეთ, ხალხის ინტერესებზე გათვლილი პროექტები მივიტანეთ სამინისტროში, მათი ხედვებიც დაემთხვა ჩვენსას და სწორედ ამიტომ მივიღეთ მაქსიმალური დაფინანსება.“

როგორც ჩვენთან საუბარში სარსაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი **კობა ლურსმანაშვილი** განმარტავს, რეგიონული განვითარების ფონდიდან სარსაგაულში 2016 წელს განსახორციელებელი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება ორ

მუნიციპალიტეტის გამგებლის **კობა ლურსმანაშვილის** ინიციატივით, 2016 წელს სარსაგაულში რეგიონალური განვითარების

გაგრძელება მე-2 გვერდზე



# რა კრიტიკით მიანიჭა სოფლას მაღალმთიანის სტატუსი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მთის განვითარების ეროვნული საბჭოსათვის 2015 წლის 14 დეკემბერს წარდგენილ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის პროექტში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ექვსი დასახლება შეტანილი: ნუნისი, პატარა სახელარი, გოლისი, გოლათუბანი, გუდათუბანი და ფონა.

22 იანვარს ხარაგაულში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. მამუკა აბულაძე და კალენიკე ბურძღლაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, კობა ლურსმანაშვილს შეხვდნენ და მთის კანონთან დაკავშირებულ რიგ საკითხებსა და პრობლემებზე ისაუბრეს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიფის მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ მოეხსნათ მაღალმთიანი სოფლის სტატუსი, მაშინ როცა თავად მოსახლეობა თვლის, რომ ეს უკანონოდ მოხდა.

რა კრიტიკით მიანიჭა თითოეული სოფელი და როგორ მიენიჭა მათ მაღალმთიანის სტატუსი ამ და სხვა საკითხებზე მამუკა აბულაძეს გავსაუბრეთ.

**-მოსახლეობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია იმ გარემოებაში, რომ თანაბარ პირობებში მყოფი სოფლები ზოგი მოხვდა მაღალმთიან ზონაში, ზოგი - არა. როგორ ახსნით?**

-მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ საქართველოს კანონი ზღვის დონიდან 1500 მეტრზე ზევით მდებარე და ისტორიულ-გეოგრაფიულ მხა-



რეებში შემავალი ყველა დასახლებისათვის ითვალისწინებს სტატუსის მინიჭებას. ჯამში, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, „მაღალმთიანი დასახლების“ სტატუსი ავტომატურად მიენიჭა 1129 დასახლებას. რაც შეეხება 800-დან 1500 მეტრამდე მდებარე იმ დასახლებებისთვის მაღალმთიანის სტატუსის მინიჭებას, რომლებიც არ შედის კანონში ჩამოთვლილ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში, მთის განვითარების ეროვნულმა საბჭომ, ამ კანონის შესაბამისად, შეიმუშავა კრიტერიუმები, რომლებიც დააკმაყოფილა საქართველოს 452 დასახლების პარამეტრებმა და შევიდნენ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

**-რა კრიტიკით მიანიჭა სოფლები, რომლებიც მაღალმთიან ზონას მიაკუთვნეს?**

- კრიტერიუმები ემსახურება ისეთი მაღალმთიანი დასახლებების იდენტიფიცირებას, რომლებშიც მდგომარეობა კრიტიკულია და აუცილებელია სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევა.

2002 და 2014 წლის აღწერების წინასწარი მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ სოფლის მოსახლეობის შემცირების პროცესი მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს და განსაკუთრებით მკვეთრია მთიან რეგიონებში. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონის მიზანია საქართველოს მთიანეთის მოსახლეობისგან დაცლის პროცესის შეჩერება. ამიტომ პირველი ასეთი კრიტერიუმია დემოგრაფიული, რომლითაც ხდება იმ დასახლებების განსაზღვრა, სადაც განსაკუთრებით მძიმეა დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებულია მიგ-

რაციული პროცესები. ამ მიზნით ზღვის დონიდან 800-1500 მეტრ სიმაღლეზე მდებარე დასახლებებში, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 10 და ნაკლებია, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სხვა კრიტერიუმების გათვალისწინების გარეშე, ხოლო დანარჩენ დასახლებებში დემოგრაფიული მდგომარეობის კრიტიკულობის შესაფასებლად გამოიყენებულ იქნა აღწერებს შორის პერიოდში დასახლების მცხოვრებთა რაოდენობის კლების მაჩვენებელი: დასახლების მცხოვრებთა რაოდენობის 25%-ზე მეტად შემცირება მიჩნეულ იქნა მდგომარეობის კრიტიკულობის მაჩვენებლად (სოფლის მოსახლეობის შემცირების საშუალო მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით 24%-ზე ოდნავ მეტია).

მხოლოდ დემოგრაფიული კრიტერიუმის გამოყენებისას დასახლებათა ჩამონათვალში შესაძლებელია, მოხვდეს როგორც მთის, ისევე ბარის სოფლები. ბარისაგან განსხვავებით, მთის ფერდობების დახრილობა და მკაცრი კლიმატური პირობები, ანუ ბუნებრივი გარემო, იწვევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გართულებასა და დაბალპროდუქტიულობას. დასახლების მაღალმთიანობის ეს უარყოფითი შედეგები ვლინდება სასოფლო-სამეურნეო მიწების სტანდარტული ტექნიკის გამოყენებით დამუშავების შეუძლებლობაში. ამდენად, მეორე არის სასოფლო-სამეურნეო კრიტერიუმი, რომლითაც ხდება იმ დასახ-

ლებების გათვალისწინება, სადაც მაღალმთიანი რელიეფი ართულებს ადამიანის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ამ კრიტერიუმის მეშვეობით ხდება იმ დასახლებების შერჩევა, სადაც დასახლებაში რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილი მთლიანი სასოფლო-სამეურნეო ან სახნავ-სათესი ფართობების ნახევარზე მეტის დამუშავება შეუძლებელია სტანდარტული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, რომელიც გამოიყენება ბარის პირობებში.

ამჟამად მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში არის განთავსებული სოფლებში მცხოვრებთათვის ხელმისაწვდომი ძირითადი საზოგადოებრივი მომსახურების ობიექტები: სტაციონარული და სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულებები (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები), სკოლისგარეშე განათლების (სახელოვნო და სპორტული სკოლები) და კულტურის დაწესებულებები (მუზეუმები და დიდი ბიბლიოთეკები), საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური აქტივობის ობიექტები (სპეციალიზირებული მაღაზიები, ბაზრობები, ბანკების ფილიალები, აფთიაქები, ვეტსამკურნალოები და მისთ.), ადმინისტრაციული სერვისები და საზოგადოებრივი-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა (საკრებულო, გამგეობა, სამინისტროების წარმომადგენლობები) და

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## H1N1 ვირუსი ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის ამ ეტაპზე საფრთხეს არ წარმოადგენს

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ე.წ. „ლორის გრიპი“ (H1N1), A ტიპის გრიპის აქამდე უცნობი ვერსიაა.**

**ამ ეტაპზე H1N1 ვირუსი საქართველოში საკმაოდ აქტუალურია და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანოა. იმისათვის, რომ დაგვედგინა არის თუ არა H1N1 ვირუსის საშიშროება და დაფიქსირდა თუ არა იგი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, შპს რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის ხარაგაულის ფილიალის მთავარ ექიმს, ქეთევან აბრამიშვილს გავესაუბრეთ.**

**- ქალბატონო ქეთევან, რა სიმპტომებით გამოიხატება H1N1 ვირუსი და როგორია მისი შემდგომი გართულებები?**

-ეს ის ვირუსია, რომელსაც იმუნიტეტი არ გააჩნია, ანუ თუ H1N1 ვირუსი ერთხელ მოიხადე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი მეორედ აღარ შეგხვდება. ვირუსს განსაკუთრებული თვისებები არ გააჩნია, მისი სიმპტომები ჩვეულებრივი გრიპის ვირუსის იდენტურია. დაავადების ნიშნებია: თავის ტკივილი, სხეულში მტვრევის შეგრძნება, კანკალი, სისველე ცხვირში, ყელის ტკივილი, ხველა, ცხელება, ორგანიზ-

მის დასუსტება. ზოგიერთ პაციენტში ვლინდება დიარეა, ლებინება, ცემინება, რიგ შემთხვევაში მაღალი ტემპერატურა. დაავადების პროგრესირებისა და მდგომარეობის დამძიმების შემთხვევაში, ყალიბდება პნევმონია და სუნთქვის უკმარისობა, რაც, საბოლოოდ, სიკვდილს იწვევს. ე.წ. „ლორის გრიპის“ ვირუსულმა ინფექციამ შეიძლება გააუარესოს მანამდე არსებული ქრონიკული დაავადების მიმდინარეობა. ამის თავიდან აცილების მიზნით კი საჭიროა დროული დიაგნოსტიკა და ტემპერატურის კონტროლი, რომ არ გადავიდეს ანთებით პროცესში, რადგან ამ შემთხვევაში მიმდინარეობა საკმაოდ რთულია.

**-როგორია აღნიშნული ვირუსის გავრცელებისა და მკურნალობის გზები?**

-H1N1 არ ვრცელდება საკვებით, მათ შორის, ღორის ხორციით ან სხვა პროდუქტით მომზადებული საკვებიდან. იგი ადამიანიდან ადამიანზე სეზონური გრიპის ვირუსის მსგავსად ჰაერ-წყვეთვანი გზით, ხველებით, ცემინებით, დაინფიცირებულ საგანთან ხელის შეხებით, პირთან და ცხვირთან კონტაქტით ვრცელდება. ხველებისა და ცემინების დროს ვირუსის შემცველი ნვეთები ჰა-

ერში იბნევა და ამგვარადაც შესაძლებელია მოხდეს სხვა ადამიანის ინფიცირება.

დავირუსების შემთხვევაში აუცილებელია პაციენტმა სტაციონარს მიმართოს. ამ დროს საჭიროა დიდი რაოდენობის სითხის მიღება. ტემპერატურის დამწევი და ანტი-ვირუსული მედიკამენტ-

თხვევაში კი, მოხდება პაციენტის გადაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

**-არსებობს თუ არა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ამ ტიპის ვირუსით დაინფიცირების საშიშროება და მოიმატა თუ არა პაციენტთა მომართვის რაოდენობა?**



ტები. ასეთ სიტუაციაში ადამიანი თავად უნდა მოერიდოს ხალხმრავალ ადგილებს.

თუ გაციების შემთხვევაში ტემპერატურა მაღალია და გამოიხატება საერთო სისუსტე ჩვენ პაციენტს პირველად დახმარებას გავუწევთ. საჭიროების შემ-

-ხარაგაულში აღნიშნული ვირუსის გამო საგანგაშო მდგომარეობა არაა. ამ დროისთვის ვირუსის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ჩვენთან ძირითადად H1N1 ვირუსია გავრცელებული. მომართვის რაოდენობა მომატებულია თუმცა, პაციენტების ეს რა-

ოდენობა მძიმე მდგომარეობას არ ქმნის. მიუხედავად ამისა, მზადყოფნაში ვართ. შოკის ოთახში განკუთვნილი გვაქვს სპეციალურად ორი სანოლი, გადასხმისთვის. ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ პაციენტის დიფერენცირება სხვა ვირუსებისგან.

**-როგორ უნდა დავიცვათ თავი H1N1 ვირუსისაგან?**

-ასეთ დროს ყველა ვალდებულია, როგორც საკუთარი თავი, ასევე გარშემომყოფები დავიცვათ დეზინფექციისგან. ამისათვის აუცილებელია, ვატაროთ დამცავი ნიღბები. ძალიან მნიშვნელოვანია საკუთარი ჯანმრთელობის გაფრთხილება: დიდხანს ძილი, ფიზიკური აქტიურობა, სტრესებისაგან თავის არიდება, სითხეების მიღება უხვი რაოდენობით, ვიტამინებით მდიდარი დაბალანსირებული კვება. „ლორის გრიპისგან“ თავდაცვის პირველი და უმთავრესი ნუსია ხელების დაბანა ხშირად, საგულდაგულოდ, თბილი წყლითა და საპნით ან სპირტზე დამზადებული დასაბანი საშუალებებით. სიფრთხილისათვის კარგია, თუ ადამიანი არ შეეხება ისეთ საგნებს ან ზედაპირებს, რომლებიც შესაძლოა, რომ დაინფიცირებული იყოს.

თამარ მაღრაძე



# რა კრიტიკით ვიანიჭა სოფლებს მალალმთიანის სტაბუსი

დახაწყისი მე-3 გვერდზე

სხვა. მალალმთიანი რეგიონების სასოფლო დასახლებებში მცხოვრებთათვის ამ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობა მით ნაკლებია, რაც უფრო დაშორებულია დასახლება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს. ამიტომ მესამე კრიტიკრიუმად აღებულია პერიფერიული კრიტიკრიუმი, რომლითაც ხდება იმ დასახლებების განსაზღვრა, რომელთა მოსახლეობისათვის ძირითად საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის მდგომარეობა გაუარესებულია.

ადმინისტრაციულ ცენტრამდე მისასვლელი დრო დამოკიდებულია მისასვლელი გზების კატეგორიაზე, მათ ხარისხზე და მალალმთიანობით გამოწვეულ სირთულეზე. ამ კრიტიკრიუმის მეშვეობით ხდება იმ დასახლებების შერჩევა, რომლებიც დაშორებულია (ზამთრის პირობებში კი ზოგჯერ მოწყვეტილია) ადმინისტრაციული ცენტრიდან.

მთის ეროვნულმა საბჭომ მალალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება მიზანშეწონილად მიიჩნია შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ დასახლება ზღვის დონიდან 1000 მეტრზე ზემოთ მდებარეობს და აკმაყოფილებს დასახლებული სამიდან ერთ კრიტიკრიუმს; ბ) თუ დასახლება ზღვის დონიდან 800-დან 1000 მეტრამდე სიმაღლეზეა და აკმაყოფილებს დასახლებული სამიდან ორ კრიტიკრიუმს.

- იმ შემთხვევაში თუ მედპერსონალი გარკვეულ საკრებულოს ემსახურება და აღნიშნული საკრებულოს რამდენიმე სოფლიდან მხოლოდ ერთი მიეკუთვნება მალალმთიან ზონას,

ექნება თუ არა კანონით დაწესებული ხელფასის ნამატი?

- შესაძლოა, მიეცეს — ამას გადაწყვეტს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც ამ შედეგების გაცემის ნესზე შესაბამისი დადგენილების პროექტს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად.

- ხელფასის დამატება მხოლოდ ექიმზე ხდება თუ მთლიან მედპერსონალზე?

- ყოველთვიური დანამატი მიეცემა მალალმთიან დასახლებაში მდებარე სახელმწიფოს ნილობრივი მონანილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებულ ექიმს და ექთანს, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნესით.

- ბატონო მამუკა, უნდა ჰქონდეს თუ არა წიფის მოსახლეობას იმედი, რომ მათ ალუდგებათ მალალმთიანი დასახლების სტატუსი?

- შეიძლება ეს მოხდეს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტატისტიკური გადამოწმება, რომლის შედეგებიც აპრილის თვეში დაიდება. თუ დადგინდა და წიფის მდებარეობა ზღვის დონიდან 800 მეტრს აღემატა, შეიძლება აღიდგინოს კიდევ მალალმთიანის სტატუსი, მაგრამ იგი ზემოთაღმოთვლილი კრიტიკრიუმებიდან ორს მაინც უნდა აკმაყოფილებდეს. არ გამოვრიცხავ, რომ აპრილის თვეში დადებული ახალი სტატისტიკური კვლევებით მალალმთიანი დასახლების სტატუსი კიდევ რამდენიმე სოფელს მიენიჭოს.

მკა შავიძე

## ხარაგაულის ცურიზმის ცენტრის ორგანიზებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ ჯარკში დასრულებულია მოენყო

23-24 იანვარს, ხარაგაულის ტურიზმის ცენტრის (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ორგანიზებით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ლაშქრობა მოენყო, რომელშიც ხარაგაულელებთან ერთად იმერეთის ორგანიზაციის სკაუტთა ჯგუფიც მონაწილეობდა. ლაშქრობის მონაწილეებმა ეროვნულ პარკში მდებარე მასიურის ბაღიც მოინახულეს.



## ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი ქვეყანაში ე.წ. „ღრის გრიპის“ (H1N1) ვირუსის გავრცელებას ეხმარება და მოსახლეობას გატყუებულ ტრეფებს აძლევს

ამ დროისთვის ქვეყანაში ღრის გრიპის (H1N1) ვირუსის გავრცელების საშუალო დონის მაჩვენებელი გვაქვს და შესაბამისად სიტუაცია კონტროლირებადია.

H1N1 ვირუსი ადამიანიდან ადამიანზე, სეზონური გრიპის ვირუსის მსგავსად ჰაერ-წვეთოვანი გზით: ხველებით, ცემინებით, დაინფიცირებული საგანთან შეხებით, ხელის პირთან ან ცხვირთან კონტაქტით.

H1N1 გრიპის სიმპტომებია: თავის ტკივილი, სხეულში მტკრევის შეგრძნება, მალალი ტემპერატურა, ხველა. შედარებით იშვიათად ერთვის ყელის ტკივილი და ცხვირის გაჭედვის შეგრძნება. ამ სიმპტომების გამოვლენისას დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

ღრის გრიპისგან (H1N1) თავდაცვის პირველი და უმთავრესი წე-

სია ხელების დაბანა ხშირად თბილი წყლით და საპნით ან სპირტზე დამზადებული დასაბანი საშუალებებით ნახევარი ნუთის განმავლობაში.

მოერიდეთ ხალხმრავალ და საზოგადოების თავშეყრის ადგილებს, სადაც მეტია შანსი დაინფიცირებულ ადამიანთან კონტაქტისა.

საქართველოში ე.წ. „ღრის გრიპის“ (H1N1) გავრცელების ყველაზე რთული პერიოდი 2010-2011 წლის სეზონი იყო. „დღეს 100 000 მოსახლიდან 200 ადამიანს აქვს ეს ვირუსი, ეპიდემიის ზღვარი კი იმ შემთხვევაში გამოცხადდება, როცა რაოდენობა 100 000 მოსახლეზე 500 ადამიანს გადაჭარბებს. ჯერ საქართველოში პიკის პერიოდი არ დამდგარა. გრიპის-



მაგვარი დაავადებების პიკის პერიოდი საქართველოში ძირითადად თებერვლის ბოლოს მარტის დასაწყისში მოდის, აღნიშნული მონაცემები განგამის საფუძველს არ იძლევა”, — აცხადებს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე.

## სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე გარემოსდაცვითი ლონისძიებების შესახებ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ოფისში პრაქტიკული გახიზნა



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ოფისში (დირექტორი ლევან თაბუნიძე) სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ პრაქტიკული გახიზნა გაიმართა.

რა ღონისძიებებს ატარებენ მსოფლიოს წამყვანი და რიგითი ქვეყნები იმისათვის რომ დაიცვან გარემო და ტყე, რომელი კანონმდებლობით რეგულირდება სატყეო სფერო და რა ღონისძიებების გატარებაა საქართველოში საჭირო, რომ დავიცვათ ეკოლოგია - ამ თემებზე გამართეს პრე-

ზენტაცია ხარაგაულის მე-3, მე-2 და სალანძილის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრა ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების უფროსმა სპეციალისტმა, მანანა ტაბაშიძემ: „არაერთი ღონისძიება ტარდება გარემოსდაცვითი მიმართულებით. საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად ამ ღონისძიებებში თითოეული ბავშვის ჩართულობა მნიშვნელოვანია. ამ პრეზენტაციისთვის და იმისათვის, რომ ბავ-

შეებს ამა თუ იმ ქვეყნის გარემოსდაცვითი ღონისძიებები შეესწავლათ, მოიხიეს უამრავი მასალა, ასევე გაეცნენ სატყეო სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობას. ეუსმენ ამ ახალგაზრდებს და ვფიქრობთ მათ მიერ შესწავლილი გარემოსდაცვითი ქმედებები მათ და მათ თანატოლებს გამოადგებათ. ისინი აუცილებლად იზრუნებენ თავიანთ გარემოზე, იზრუნებენ საკუთარი ქვეყნის ტყის ფონდის ფლორისა და ფაუნის შენარჩუნებაზე, გამრავალფეროვნებასა და, ზოგადად, გარემოს გაჯანსაღებაზე.“

„დაახლოებით ერთი თვეა, რაც ვებზადებთ. ჩემი აზრით, ამ პროექტის მნიშვნელობა არის ის, რომ ვიგებთ მსოფლიოს წამყვან და რიგით ქვეყნებს, რა წვლილი შეაქვთ გარემოსდაცვაში, როგორ ცდილობენ ისინი თავიანთი ქვეყნის ჯანსაღი გარემო შეინარჩუნონ. ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, თუ გვეცოდინება, რას აკეთებენ ამ ქვეყნებში ისეთს, რომ იდეალურ შედეგს აღწევენ, ჩვენც ვეცდებით მივბაძოთ მათ და დავიცვათ გარემო“ - აღნიშნა მე-3 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ნინო ყყოიძემ.

მარიანა ბურჯულიანი

## „ჩხერიმელა“ „ცორჰედო“ დაამარცხა

ხარაგაულის საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა“ 2015/2016 წლების სეზონის პირველი ლიგის გათამაშების მეორე წრისთვის მზადებას განაგრძობს. დღეს, გუნდმა მორიგი საკონტროლო თამაში ქუთაისში გამართა. სალორის ბაზაზე „ჩხერიმელა“ „ტორჰედოს“ დუბლშემადგენლობას დაუპირისპირდა და მეტოქე ანგარიშით — 4:2 დაამარცხა. ხარაგაულელთა მეკარე, გივი კვიციანი თამაშში მეორე ნახევრიდან ჩაერთო, ამ დროისთვის ანგარიში ჩხერიმელას სასარგებლოდ 2:1 გახლდათ. ახალგაზრდა კიპერმა ახლო მანძილიდან ორი ურთულესი დარტყმულისა და თერთმეტმეტრიანი საჯარიმოს მოგერიება შეძლო.

